თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №40

23 მარტი 2018 წ.
ქ. თელავი

## თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელის განაკვეთების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ზ.“ ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-5 მუხლების და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი** 1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები შემდეგი სახით:

1) სამორინეს თითოეულ მაგიდაზე - კვარტალში 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

2) თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2 000 (ორი ათასი) ლარი;

3) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;

4) სისტემური - ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

5) ლატარიის მოწყობაზე - ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების არაუმეტეს 20%-სა;

6) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემური - ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - კვარტალში 1 500 (ათას ხუთასი) ლარი;

7) კლუბის თითოეულ მაგიდაზე - კვარტალში 4 000 (ოთხი ათასი) ლარი.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №4 დადგენილება „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დამტკიცების შესახებ" (www.matsne.gov.ge, 26/01/2017, 010250050.35.176.016142).

**მუხლი 3.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე